200.000 ტონა ყურძნისათვის!

200 ათასი ტონა ყურძენი —ასეთია წელს საქართველოს მევენახეთა სოციალისტური ვალდებულება.

ამხანაგო მევენახეებო: ამთავითვე გავაჩაღოთ შემოქმედებითი შრომა ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის!

ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ შემდგომ გავადიდოთ ყურძნის მოსავლიანობა და საქვეყნოდ ცნობილი ქართული ღვინოების გამოსაშვებად მრეწველობას მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ნედლეული.

სიტყვას საქმე აცოცხლებს, მევენახეებო!

ზესტაფონელებთან ალაზნისპირა ზვრებში

ზესტაფონი. („კომუნისტის“ კორ.). საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 3.713 ჰექტარ ზვრებში რიგთა შორის ხვნა და ვაზის ძირების გამობარვა აგროვადებში შესრულეს.

გამოზაფხულდა თუ არა, მევენახეებმა ზვრებს მიაშურეს, დაიწყეს ნიადაგის დამუშავება, სხვლა. ამ სამუშაოებში დაწინაურდნენ თერჯოლის, ძევრის, მეორე სვირის, კიცხის, ფუთის და სხვა კოლმეურნეობათა მევენახეები.

თერჯოლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე კ. მურადაშვილი) 70,3 ჰექტარ ვენახებში ნიადაგის სამუშაოები მთლიანად დამთავრებულია, ახლა მიმდინარეობს ვაზის სხვლა და სხვა ღონისძიებები.

სოფელ ფუთის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ბერიძე) მევენახეებმა 31 ათასი ტონა ყურძენი.

ბაღდათი. („კომუნისტის“ კორ.). საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 3.713 ჰექტარ ზვრებში რიგთა შორის ხვნა და ვაზის ძირების გამობარვა აგროვადებში შესრულეს.

გამოზაფხულდა თუ არა, მევენახეებმა ზვრებს მიაშურეს, დაიწყეს ნიადაგის დამუშავება, სხვლა. ამ სამუშაოებში დაწინაურდნენ თერჯოლის, ძევრის, მეორე სვირის, კიცხის, ფუთის და სხვა კოლმეურნეობათა მევენახეები.

ბაღდათი. (საკ. კორ.). ცივგომბორის მთებიდან ალაზნის ველამდე გადაჭიმული საწარმოო სამმართველოს ვენახები, რომელთა ფართობი 8.000 ჰექტარს აღწევს. შარშანდელმა უამინდობამ თელაველთა ზვრებს დიდი ზიანი მიაყენა.

თელაველები შარშანდელი ზარალის ანაზღაურებას წელს ვარაუდობენ. ამ მიზნით ზვრებს მოვლას არ აკლებენ. რიგთაშორის ხვნა ჩატარდა 4.449 ჰექტარზე. მინერალური სასუქები შეტანილია 3.337 ჰექტარზე. სიმეჩხრე ლიკვიდირებულია 540 ჰექტარზე, სხვლა აგროვადებში დამთავრდა.

ბაღდათი. (საკ. კორ.). ცივგომბორის მთებიდან ალაზნის ველამდე გადაჭიმული საწარმოო სამმართველოს ვენახები, რომელთა ფართობი 8.000 ჰექტარს აღწევს. შარშანდელმა უამინდობამ თელაველ

მეფრინველე დეპუტატი

ამ სურათზე (მარჯვნივ) თქვენ ხედავთ წარჩინებულ მეფრინველეს ცირა ჯარიაშვილს. მან თავისი ენერგიული შრომით სამგორის საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ამიტომ იყო, რომ ახლაგზრდა მეფრინველეს დიდი ნდობა გამოუცხადეს და ერთსულოვნად აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. შრომამ, მხოლოდ შრომამ აღამაღლა ცირა ჯარიაშვილი და სახელმწიფო მოღვაწე გახადა.

ახლა დეპუტატის მუშაობა უფრო მრავალფეროვანი, პასუხსაგები გახდა. ცირა ჯარიაშვილი წიწილების გაზრდის დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს და თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებს თანამოსაქმეებს. ამან დიდად შეუწყო ხელი მეურნეობის მეფრინველეთა კოლექტივის წარმატებას.

საჯიშე მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი კ. კოვზირიძე (სურათზე მარცხნივ) ესაუბრება დეპუტატ ცირა ჯარიაშვილს ახალ გეგმებზე, პერსპექტივებზე, რაც დასახულია წელს მეურნეობის კოლექტივის წინაშე.

(საქდენის ფოტოქრონიკა).

რამ შეჭამა ვენახი...

ამ სამოცდაათი წლის წინათ გაზეთი „ივერია" გულისტკივილით წერდა: „ჩვენი ბაღდადი და მისი მეზობელი სოფლები... დიმი, როკითი, ფერსათი, სადემეტრაო, გორა და სხვ. ჯერ ისევ უმეცრების ბურუსს მოუცავს.

ერთადერთს ცხოვრების სახსარს აქაური მცხოვრებლებისას ვენახი შეადგენს. მაგრამ ამ უკანასკნელს იმედსაც მუსრი გაავლო ფილოქსერამ. ასე რომ... მგონია, ვენახის ნატამალიც აღარ დარჩეს ჩვენში".

ეს ნაღვლიანი სტრიქონები დაწერილია ძველი ბაღდადიხა და ვანის, ახლანდელი მაიაკოვსკის რაიონის სოფლებზე. მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ხოლო ქართული ვაზი, რომელმაც ფილოქსერაც დაძლია და ომთა სიავეც, კი არ გადაშენდა, როგორც მისი გულშემატკივრები შიშობდნენ, კიდევ უფრო გამრავლდა, ფეხზე დადგა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

მარტო შარშან მაიაკოვსკის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 14.548 ტონა ყურძენი. თითქმის სამი ათასი ტონით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

ვენახების გულმოდგინე მოვლითა და დამუშავებით ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს სწორედ იმ სოფლებში, რომლებზეც ასე სინანულით წერდა „ივერია".

დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობაში თვითეულ ჰექტარზე 82 ცენტნერი ყურძენი მიიღეს, ხოლო სოფელ გორას კოლმეურნეობაში — 73 ცენტნერი. სოფელ დიმის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დიანოზ ნემსაძე ხელმძღვანელობს, საშუალოდ ჰექტარზე 137 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში, ჯერ კიდევ დაბალ მოსავალს იღებენ. კიდევ მეტი, ერთნაირი პირობების მქონე კოლმეურნეობებს სულ სხვადასხვა შედეგი აქვთ. მაშინ როცა ტობანიერის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე 67,2 ცენტნერი ყურძენი მიიღო, მის მეზობელ შუამთის კოლმეურნეობაში მხოლოდ 10,7 ცენტნერი მიიღეს.

მეტად დაბალი მოსავალი მოიყვანეს აგრეთვე როხის ლენინის სახელობის, ამაღლების ორჯონიკიძის სახელობის, მუქედის კოლმეურნეობებში და ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში.

თვალში გეცემათ დიდი განსხვავება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობებსა და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებში წარმოებულ სასაქონლო პროდუქციაში. შარშან მოსახლეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა სამჯერ და კიდევ უფრო მეტი ყურძენი, ვიდრე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობამ. ეს იმიტომ, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის წილად ვენახების უმნიშვნელო ფართობი მოდის.

მართალია, საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისათვის ერთვერი ნაბიჯები გადაიდგა, შარშან 257 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენეს, დავალება გადამეტებითაც კი შესრულეს, მაგრამ ეს მოხდა ისევ და ისევ მოწინავე კოლმეურნეობათა ხარჯზე. ამავე დროს მთელ რიგ კოლმეურნეობებს არ შეუსრულებიათ ვენახების გაშენების გეგმები.

დამახასიათებელია, რომ ახალი ვენახების გაშენება სწორედ იმ კოლმეურნეობებმა ჩაფუშეს, რომლებმაც აგრეთვე ვერ უზრუნველყვეს არსებული ვენახების მოვლა და მეტად დაბალი მოსავალი მიიღეს. ეს განსაკუთრებით ითქმის როხის ლენინის სახელობისა და ამაღლების ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობათა შესახებ, სადაც ვენახების ერთი ნაწილი კიდევაც გადახმა.

ჯერ კიდევ 1960 წელს როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 108 ჰექტარი ვენახი ჰქონდათ. თუ ამას მივუმატებთ მომდევნო ორ წელიწადში გაშენებულ 12 ჰექტარს, ახლა, 1963 წლის გაზაფხულისათვის, აქ 120 ჰექტარი ვენახი უნდა იყოს. მაგრამ... რა უცნაურადაც უნდა გვეჩვენოს ეს, მატების ნაცვლად ამ წლებში ვენახების ფართობი ფაქტიურად შემცირდა. ამჟამად კოლმეურნეობაში არის 90 ჰექტარი ვენახი. კიდევ მეტი, 1960 წელთან შედარებით მსხმოიარე ვენახები 22,5 ჰექტარით შემცირდა.

კოლმეურნეობის წლიური ანგარიშით, რომელიც წელს დაამტკიცა წევრთა საერთო კრებამ, საბოლოოდ დადგენილია მსხმოიარე ვენახის ფართობი 26,6 ჰექტარი. მაგრამ სხვანაირად ანგარიშობენ მაიაკოვსკის საწარმოო სამმართველოში. ამ უკანასკნელმა მიმდინარე წლის 23 თებერვალს კოლმეურნეობებს, მათ შორის როხის კოლმეურნეობასაც, № 768 ცირკულარით დაუგზავნა საწარმოო დავალებები, რომლითაც ირკვევა, რომ კოლმეურნეობას ჰქონია არა 26,6 ჰექტარი

ვამოწმებთ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილების შესრულებას

მსხმოიარე ვენახი, არამედ ზუსტად 41 ჰექტარი.

მოდით და არკვიეთ რომელი ციფრია სწორი, ვინ არის მართალი, რით იხელმძღვანელოს კოლმეურნეობამ მიმდინარე წლის გეგმების შედგენისას.

დავუბრუნდეთ ახლა ვენახების გახმობის საკითხს, ვიკითხოთ — „ვინ შეჭამა ვენახი?".

როგორც წესი, კოლმეურნეობაში ყოველწლიურად ტარდება პასპორტიზაცია და ინვენტარიზაცია. და, როგორც როხის კოლმეურნეობაში დამკვიდრებული „ცალკე წესებიდან" ჩანს, ყოველწლიურად მცირდება ვენახების ფართობი.

გასული წლის 30 ივნისს კომისიამ შეადგინა ცალკე აქტი იმაზე, რომ „კოლმეურნეობის ვენახი მდებარე ბანკის ადგილებში ზომით 16,34 ჰექტარი გაშენებული 1937 წელში, დიდი სამამულო ომის დროს და მის შემდგომ წლებშიაც დაუმუშავებლობით, ნიადაგის სიღარიბით და სხვა აგროლონისძიებათა ჩაუტარებლობის გამო, ვაზის დიდი ნაწილი მთლიანად გამოსულია მწყობრიდან.

დასკვნა. ყოველივე ზემოაღნიშნულით... მიზანშეწონილად ჩაითვალოს ვაზის ამოძირკვა მიმდინარე წლის ბოლოს. ხოლო კოლმეურნეობის გამგეობამ გეგმის ზევით გაშენებული ვაზის და მომავალ წელში კვლავ გეგმის ზევით ვაზის გაშენებით მთლიანად დაფაროს აღნიშნული ოდენობით ვაზის გაშენება". (სტენოგრამა ოდაცულია).

ამ აქტს პირველი აწერს ხელს გ. ცაგარეიშვილი, რომელიც წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა კოლმეურნეობას.

გამოდის, რომ ომის წინ გაშენებული ვენახები უნდა ამოძირკვოს. მიზეზი? — მეორეე სიტყვებით რომ ვთქვათ, ვაზს ომისშემდგომ წლებშიც არ უვლიდნენ, არ ატარებდნენ აგროლონისძიებებს.

ვინ არის ამაში დამნაშავე? — ცხადია. პირველ რიგში, თვით კოლმეურნეობის მეხვეურები.

აქტში თვალის ასახვევად ჩაწერეს — ამ გადამხმარი ვენახის მაგივრად დანაკლისს გეგმის ზევით გაშენებული ვაზით დავფარავთო. მაგრამ რომელ ზეგეგმით გაშენებულ ვენახზეა ლაპარაკი, როცა კოლმეურნეობამ შარშან გეგმით გათვალისწინებული 9 ჰექტარის ნაცვლად ახალი ვენახი მთლად 5 ჰექტარზე გაშენა?!..

ვენახის გაშენება რომ ჩაფუშეს, სარგავი მასალის სიჭარბე მოიმიზეზეს. შეიძლება ამაში დავეთანხმოთ, მაგრამ ისიც ხომ სწორია, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ცაგარეიშვილი და ბუხმალტერი გ. ბაღდავაძე აშკარა კომბინაციებში გაიხლართნენ. იმავე 1962 წელს მაკინაციების გზით ხუთოს რაიონის კოლმეურნეობებს მიჰყიდეს 45 ათასი ძირი ვაზის ნერგი.

სწორედ ამაზეა ნათქვამი: „ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო".

ამ საქმის გამო ზოგიერთები პასუხისგებაში მისცეს, მკაცრად დასაჯეს. ყოფილ თავმჯდომარესა და ყოფილ ბუხმალტერს კი სამუშაოდან განთავისუფლება აკმარეს.

კოლმეურნეობას 3,35 ჰექტარი ვაზის სადედე ჰქონდა... ჰქონდა, მაგრამ ახლა აღარა აქვს. აქედან ნახევარზე მეტი მოუვლელობით გადახმა. სანერგეშიც ძალზე მცირე რაოდენობით გაახარეს დამყნილი ვაზი.

კოლმეურნეობის ვენახებში სიმეჩხერე 30 პროცენტს აღემატება. მაგრამ მას აღმოსაფხვრელად თითქმის არაფერია გაკეთებული. მზრუნველი ხელი აკლია ახლად გაშენებულ ვენახებსაც. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე გაშენებულ ვენახებში ვაზის ერთი მეხუთედი გადახმა, სამწლიან ვენახებში კი — ერთი მეხამედი.

„ლიფნარის" ნაკვეთში 11,78 ჰექტარი ახალშენი ვენახია. ასე ითვლიან ჰექტარებს. მაგრამ მთელ ამ ფართობზე მხოლოდ 24 ათასი ძირი ვაზია გახარებული. სიმეჩხერე 37 პროცენტს აღემატება. კიდევ მეტი, ამავე ნაკვეთში არის 1959 წელს გაშენებული ვენახი 1,28 ჰექტარის რაოდენობით. აქ 4.000 ძირი ვაზი უნდა იყოს, მაგრამ მხოლოდ 941 ძირია, დანარჩენი, ანუ უფრო ზუსტად 77 პროცენტი, გადახმა.

აბა, რით შეიძლია თავი იმართლოს კომუნისტმა ბრიგადირმა გ. კაცაძემ, რომელიც ამ ვენახებს უვლის? ვაზი ისეა დაკნინებული, რომ ხუთი წლის წინათ გაშენებული ვენახი ამ მეექვსე წელსაც არა გვპირდება ნაყოფს.

უყურადღებოდ არის მიტოვებული კოლმეურნეებისაგან საკარმიდამო ნაკვეთის ნორმის ზევით ჩამოჭრილი ვენახებიც. ასეთი ვენახები მთლიანად გადახმა და მიჩენილი ნაკვეთებიდან შარშან არაფერი არ მიუღიათ კოლმეურნეებს ზ. მაჩიტაძეს, დ. ქ. ცაცაძეს, ხოლო ე. ბებუციძემ მთლად „არ ულალატა ინდოსს" და კოლმეურნეობის ბაღს 43 ცენტნერი ყურძენი შემატა.

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირველი როდია, რომ კოლმეურნეობამ მეთოთხეულ ჰექტარზე სულ-სულ 28 ცენტნერი ყურძენი მიიღო. [illegible] ოქტომბერი არც ყოველ ამბლეებიდან — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაშია, სადაც სანახევროდაც კი ვერ ასრულებენ ყურძნის მოსავლიანობის გეგმებს. აქაც ჩაშალეს ახალი ვენახების გაშენების დავალება და 1961 წელს სრულებით არ გაუშენებიათ, ხოლო გასულ წელს ოთხის ნაცვლად ორ ჰექტარზე გააშენეს. არაფერი გაუკეთებიათ მეჩხერი და გადამხმარი ვენახების აღსადგენად. ვაზის სანერგიდან 24.500 ძირი ნერგი უნდა მიეღოთ, ფაქტიურად კი მხოლოდ 7.000 ძირი მიიღეს, დანარჩენი მოუვლელობით გაახმეს.

1960 წელს კოლმეურნეობაში ვენახებს 55 ჰექტარი ეკავა, აქედან 18 ჰექტარი მსხმოიარე იყო. მიმდინარე წლისათვის კი საერთო ფართობი 31 ჰექტარამდე, ხოლო მსხმოიარე ვენახი — 16,5 ჰექტარამდე დავიდა. ამ ხუთიოდე წლის წინათ „ტირიფნარში" 6 ჰექტარი ვაზი გაშენეს. შემდეგ გამოირკვა (?!), რომ აქ წყალი დგებოდა, ნიადაგიც უხეირო იყო. არც წყალსაწრეტების გაკეთებაზე და არც ნიადაგის განაყოფიერებაზე უზრუნიათ, ახალშენი ვენახის გადახმობა სტიქიას მიაწერეს, და იგი ბალანსიდან ჩამოწერეს.

ვენახების მოვლა-დამუშავებაში გარდატეხა წელსაც არ იგრძნობა. დღემდე სრულებით არ შეუტანიათ ნიადაგში მინერალური სასუქები, ხოლო ნაკელი მარტოოდენ 55 ტონა შეიტანეს.

ჯერ კიდევ 1961 წლის დეკემბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მკაცრად აკრიტიკებდნენ მაიაკოვსკელ მევენახეებს იმის გამო, რომ იქ ვენახების მოვლის აგროტექნიკურ წესებს უხეშად არღვევდნენ, იღუპებოდა ახალშენი ვენახები, მცირდებოდა ზვრების ფართობი. შარშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმაც გაამახვილა ყურადღება ამ საკითხზე, მაგრამ ეტყობა, მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, მევენახეებმა, ზემდგომი ორგანოების ეს გაფრთხილება დაივიწყეს, სათანადო დასკვნები ვერ გააკეთეს, რამაც ისინი ამ სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა.

კოლმეურნეობათა გამგეობებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, მაიაკოვსკის საწარმოო სამმართველოს და პარტიულ კომიტეტს ცოტა მუშაობა როდი დასჭირდებათ იმისათვის, რომ გზა გადაუღობონ ვენახების გახმობას, სიმეჩხრეს.

შ. ჯაფარიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

დრო იწურება, ტემპი ამხანაგო მშენებლებო!

ამ კვირის სამუშაო განრიგი თავისი ხასიათით აღარა ჰგავს ძველ განრიგებს. თითქმის ყველა პუნქტი იწყება ასე: „დამთავრდეს მონტაჟი, დაიწყოს გამოცდა"...

ეს გასაგებია. კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობის დრო თანდათანობით იწურება. როგორც მშენებელ-მემონტაჟეები აღნიშნავენ, უკვე დადგა გადამწყვეტი ეტაპი. ანოლისა და ანონის ჯგუფის საამქროების კორპუსებზე ჩატარებულ იქნა უკანასკნელი სამონტაჟო სამუშაოები.

ჯერ კიდევ გასულ შაბათს მემონტაჟეებმა განაცხადეს, რომ ამ კვირის ბოლოსათვის დაამთავრებენ ამონიუმის ბისულფიტის საამქროს გაზგამწმენდი დანადგარების მონტაჟს და ჩააბარებენ მათ. ამ ობიექტზე სამონტაჟო სამუშაოები უკვე ძირითადად დამთავრებულია. დარჩენილია ზოგიერთი ხარვეზი, რომლების გასწორებაზე ამჟამად მუშაობენ „კაველექტრომონტაჟის", „ტერმოიზოლაციის", „მონტაჟიმზაშჩიტის" და სხვ. სამონტაჟო ორგანიზაციები.

მიმდინარე კვირა გადამწყვეტია „პროგენტილაციის" სამმართველოს მუშაკებისთვისაც. მათ აიღეს ვალდებულება განრიგით გათვალისწინებული სამუშაოები დაამთავრონ 5 დღეში. ვენტილაციის სპეციალისტებმა სიტყვა საქმედ აქციეს და აღებული ვალდებულება პირნათლად გაანაღდეს.

იმ მიზნით, რომ არ ჩაიშალოს განრიგით გათვალისწინებული ვადები, მშენებელ-მემონტაჟეთა ხელმძღვანელებმა (იმნაძე, ჯახუტაშვილი, ჩიქოვანი, გეორგიევი, უკლება, ვოლდეიტი და სხვები) მნიშვნელოვნად გაზარდეს სამშენებლო მოედნებზე სპეციალისტების რიცხვი, ბევრ ადგილას შემოიღეს ორ ცვლად მუშაობა. ამ ღონისძიებამ დააჩქარა მუშაობის ტემპები, გააუმჯობესა მშენებლობის ხარისხი.

...გოგირდისა და საღუმელე განყოფილების კორპუსზე ვართ. აქ მემონტაჟეები ხარვეზებს ასწორებენ.

— რომელი ორგანიზაციიდან ხართ"?

— „ენერგოჩერმეტის" სამმართველოდან.

— რა შეადგენს თქვენს მოვალეობას ამ კვირაში?

— მთლიანად დავამთავროთ და აქტით ჩავაბაროთ ყველა სამონტაჟო სამუშაოები, — გვეუბნება სამმართველოს უფროსი გ. ჩიჩუა.

აქვე „ტერმოიზოლაციის" სამმართველოს უფროსი ა. გეორგიევიც ვინახულეთ. მან გვითხრა, რომ ამ კვირაში დამთავრდება თერმოიზოლაციის ყველა სახის სამუშაო.

და განა მარტო ეს? დასასრულს უახლოვდება საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაყენებისა და მონტაჟის სამუშაოები.

„ქიმმრეწვმშენის" სამმართველოს უფროსმა კ. უკლებამ შემოგვჩივლა:

— უცნაური ხალხია ეს მემონტაჟეები. მიადგებიან თავიანთ სამუშაოს, ჩამტვრევენ კედლებს, იატაკს, თავიანთ საქმეს მოათავებენ და მიდიან. მერე იმტვრიე თავი დაბრეულის აღდგენაზე. ცხადია, ეს ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ, როგორც იტყვიან, ხუმრობაში ხშირად სიმართლეა. ასეა აკაც. „ქიმმრეწვმშენის" სამმართველოს კოლექტივს, როგორც გენერალურ მოიჯარადრეს მრავალი დამატებითი სამუშაოს შესრულება უხდება სამშენებლო მოედნებიდან სამონტაჟო ორგანიზაციების წასვლის შემდეგ, მაგრამ იგი ყოველთვის მზად არის საქმის ინტერესებისათვის არ დაზოგოს ძალა და ენერგია.

კვირეული განრიგით გათვალისწინებული სამუშაოებიდან ზოგიერთი ჯერ ბოლამდე დამთავრდეს და აქტით ჩაბარდეს სამი ძირითადი ობიექტი. ესენია: ამონიუმის ბისულფიტის საღუმელე განყოფილება, ამიაკური წყლის მისაღები მოწყობილობა და კაპროლაქტამის საამქროს მზა პროდუქციის მისაღები კორპუსი. ამ დავალებათა დროულად შესრულების მიზნით ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სამონტაჟო და საცდელი სამუშაოები. განსაკუთრებით კარგ შედეგებს აღწევენ „ენერგოჩერმეტის", „მეტალურგპროკატმონტაჟის" და სხვა სამონტაჟო ორგანიზაციები.

წინა წერილებში ჩვენ მივუთითებდით, რომ რუსთავის სარემონტო-მექანიკური ქარხანა ვერ აკმაყოფილებდა მშენებელ - მემონტაჟეთა მოთხოვნილებას და დაგვიანებით უსრულებდა მათ სასწრაფო დაკვეთებს. ამჯერად ქარხანა ქების ღირსია. დღეში აქ ათობით შეკვეთას იღებენ და, იციან რა ქიმიური ობიექტების მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა მათს მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ.

ოთხშაბათს მშენებლობაზე ჩატარდა ოპერატიული თათბირი.

თათბირზე მშენებელ-მემონტაჟეთა მუშაობის წარმატებებთან ერთად ნაკლოვანებანიც აღინიშნა.

— როდის მოგვცემს სათანადო მითითებას აზოტოვანი სასუქების ქარხანა, რომ დავიწყოთ საკაბელე ტრანშეიდან კაბელის გადატანა ამონიუმის ნიტრატის შენობის ზედა ნაწილზე? — ჩივიან „კაველექტრომონტაჟის" სამმართველოს ხელმძღვანელები.

მემონტაჟეთა ეს პრეტენზია სამართლიანია. აღნიშნული სამუშაო გათვალისწინებულია განრიგით, გადაწყვეტილება კი ჯერ არა ჩანს.

კაპროლაქტამ-ალიზის საამქროს საექსპლოატაციოდ გადაცემა არ მოხერხდება, თუ არ დამთავრდა ტრიქლორეთილენის სადგურის მონტაჟი. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მშენებელ-მემონტაჟეებმა მთლიანად მიივიწყეს სამონტაჟო სამუშაოების წარმოება ამ ობიექტზე. აღნიშნული სადგური ეკუთვნის კაპროლაქტამ-ალიზის მიღების საამქროების ჯგუფს. ობიექტი აუცილებლად მნიშვნელოვანია და მეტად მოკლე დროში საჭიროც იქნება მისი გამოყენება. სხვათა შორის ამას წინათ მოვიდა ტრიქლორეთილენი, მაგრამ იმის გამო, რომ სადგური მზად არ იყო, ვერ შეძლეს მისი მიღება. განა ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ ობიექტზე? დარჩენილია მხოლოდ ქიმდაცვითი სამუშაოები და დასამთავრებელია ზოგიერთი დანადგარის მონტაჟი და შემოსალტვა. ეს სამუშაოები რაც შეიძლება მალე უნდა დამთავრდეს, რაც უმთავრესად დამოკიდებულია ამ მშენებლობის ხელმძღვანელთა მონდომებასა და უნარზე.

გ. დემეტრაშვილი — ქიმმრეწვმშენის სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ა. ბერიძე — ნორმატიულ-საკვლევი სადგურის უფროსი, ზ. მურკვილაძე — „კომუნისტის" საკ. კორ.

ქართული კაპროლაქტამი — მაისში!

კაპროლაქტამის საწარმოს ამუშავებამდე მცირე დრო დარჩა; ყოველი დღე, საათი, წუთი გამოვიყენოთ მაქსიმალურად!

ინდივიდუალური კაპროლაქტამის მშენებლობაზე

კაპროლაქტამის საამქროს გაშენებლობა

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მშრომელებს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ურთიერთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დღითიდღე სულ ახალ-ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ.

მეოთხედი საუკუნეა ერთმანეთს ეჯიბრებიან, მუშაობის თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ და საერთო ძალებით მაღალ საწარმოო და შრომითს მაჩვენებლებს აღწევენ **მახარაძის** საწარმოო სამმართველოს სოფელ ნატანების კოლმეურნე მეჩაიეები და სომხეთის სსრ **ჰოქტემბერიანის** საწარმოო სამმართველოს სოფელ ნალბანდიანის კოლმეურნეობის მებამბეები და მევენახეები.

ასეთივე ძმური ურთიერთობა და შრომითი თანამეგობრობაა დამყარებული **არტაშატის** (სომხეთი) და **ნორაშენის** (ნახჭევნის ასსრ), **გორისის** (სომხეთი) და **დაჩინის** (აზერბაიჯანი), **სპიტაკის** (სომხეთი) და **გორის** (საქართველო) საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობათა მშრომელებს შორის.

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ახალ აზვირთებას სპეციალური ნომერი მიუძღვნა ამ დღეებში სომხეთის რესპუბლიკურმა გაზეთმა **„სოვეტაკან ჰაიასტანმა"**.

ნომერში მოთავსებულ საინტერესო მასალებს შორის ყურადღებას იპყრობს სომხეთისა და საქართველოს იმ საწარმოო სამმართველოებისა და კოლმეურნეობების მუშაკთა კოლექტივების მიწერ-მოწერა, რომლებიც შვიდწლედის მეხუთე წლის დავალებათა წარმატებით განაღდებისათვის შეჯიბრებაში ებმებიან. გაზეთში დაბეჭდილია სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის საწარმოო სამმართველოს სოფელს ნალბანდიანის კოლმეურნეობის მებამბეებსა (იმნაძე, ჯახუტაშვილი, ჩიქოვანი, გეორგიევი, უკლება, ვოლდეიტი და სხვები) მნიშვნელოვნად გაზარდეს სამშენებლო მოედნებზე სპეციალისტების რიცხვი, ბევრ ადგილას შემოიღეს ორ ცვლად მუშაობა. ამ ღონისძიებამ დააჩქარა მუშაობის ტემპები, გააუმჯობესა მშენებლობის ხარისხი.

...გოგირდისა და საღუმელე განყოფილების კორპუსზე ვართ. აქ მემონტაჟეები ხარვეზებს ასწორებენ.

— რომელი ორგანიზაციიდან ხართ"?

— „ენერგოჩერმეტის" სამმართველოდან.

— რა შეადგენს თქვენს მოვალეობას ამ კვირაში?

— მთლიანად დავამთავროთ და აქტით ჩავაბაროთ ყველა სამონტაჟო სამუშაოები, — გვეუბნება სამმართველოს უფროსი გ. ჩიჩუა.

აქვე „ტერმოიზოლაციის" სამმართველოს უფროსი ა. გეორგიევიც ვინახულეთ. მან გვითხრა, რომ ამ კვირაში დამთავრდება თერმოიზოლაციის ყველა სახის სამუშაო.

და განა მარტო ეს? დასასრულს უახლოვდება საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების დაყენებისა და მონტაჟის სამუშაოები.

„ქიმმრეწვმშენის" სამმართველოს უფროსმა კ. უკლებამ შემოგვჩივლა:

— უცნაური ხალხია ეს მემონტაჟეები. მიადგებიან თავიანთ სამუშაოს, ჩამტვრევენ კედლებს, იატაკს, თავიანთ საქმეს მოათავებენ და მიდიან. მერე იმტვრიე თავი დაბრეულის აღდგენაზე. ცხადია, ეს ხუმრობით იყო ნათქვამი, მაგრამ, როგორც იტყვიან, ხუმრობაში ხშირად სიმართლეა. ასეა აკაც. „ქიმმრეწვმშენის" სამმართველოს კოლექტივს, როგორც გენერალურ მოიჯარადრეს მრავალი დამატებითი სამუშაოს შესრულება უხდება სამშენებლო მოედნებიდან სამონტაჟო ორგანიზაციების წასვლის შემდეგ, მაგრამ იგი ყოველთვის მზად არის საქმის ინტერესებისათვის არ დაზოგოს ძალა და ენერგია.

კვირეული განრიგით გათვალისწინებული სამუშაოებიდან ზოგიერთი ჯერ ბოლამდე დამთავრდეს და აქტით ჩაბარდეს სამი ძირითადი ობიექტი. ესენია: ამონიუმის ბისულფიტის საღუმელე განყოფილება, ამიაკური წყლის მისაღები მოწყობილობა და კაპროლაქტამის საამქროს მზა პროდუქციის მისაღები კორპუსი. ამ დავალებათა დროულად შესრულების მიზნით ჩქარი ტემპით მიმდინარეობს სამონტაჟო და საცდელი სამუშაოები. განსაკუთრებით კარგ შედეგებს აღწევენ „ენერგოჩერმეტის", „მეტალურგპროკატმონტაჟის" და სხვა სამონტაჟო ორგანიზაციები.

წინა წერილებში ჩვენ მივუთითებდით, რომ რუსთავის სარემონტო-მექანიკური ქარხანა ვერ აკმაყოფილებდა მშენებელ - მემონტაჟეთა მოთხოვნილებას და დაგვიანებით უსრულებდა მათ სასწრაფო დაკვეთებს. ამჯერად ქარხანა ქების ღირსია. დღეში აქ ათობით შეკვეთას იღებენ და, იციან რა ქიმიური ობიექტების მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა მათს მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ.

ოთხშაბათს მშენებლობაზე ჩატარდა ოპერატიული თათბირი.

თათბირზე მშენებელ-მემონტაჟეთა მუშაობის წარმატებებთან ერთად ნაკლოვანებანიც აღინიშნა.

— როდის მოგვცემს სათანადო მითითებას აზოტოვანი სასუქების ქარხანა, რომ დავიწყოთ საკაბელე ტრანშეიდან კაბელის გადატანა ამონიუმის ნიტრატის შენობის ზედა ნაწილზე? — ჩივიან „კაველექტრომონტაჟის" სამმართველოს ხელმძღვანელები.

მემონტაჟეთა ეს პრეტენზია სამართლიანია. აღნიშნული სამუშაო გათვალისწინებულია განრიგით, გადაწყვეტილება კი ჯერ არა ჩანს.

კაპროლაქტამ-ალიზის საამქროს საექსპლოატაციოდ გადაცემა არ მოხერხდება, თუ არ დამთავრდა ტრიქლორეთილენის სადგურის მონტაჟი. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მშენებელ-მემონტაჟეებმა მთლიანად მიივიწყეს სამონტაჟო სამუშაოების წარმოება ამ ობიექტზე. აღნიშნული სადგური ეკუთვნის კაპროლაქტამ-ალიზის მიღების საამქროების ჯგუფს. ობიექტი აუცილებლად მნიშვნელოვანია და მეტად მოკლე დროში საჭიროც იქნება მისი გამოყენება. სხვათა შორის ამას წინათ მოვიდა ტრიქლორეთილენი, მაგრამ იმის გამო, რომ სადგური მზად არ იყო, ვერ შეძლეს მისი მიღება. განა ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ ობიექტზე? დარჩენილია მხოლოდ ქიმდაცვითი სამუშაოები და დასამთავრებელია ზოგიერთი დანადგარის მონტაჟი და შემოსალტვა. ეს სამუშაოები რაც შეიძლება მალე უნდა დამთავრდეს, რაც უმთავრესად დამოკიდებულია ამ მშენებლობის ხელმძღვანელთა მონდომებასა და უნარზე.

გ. დემეტრაშვილი — ქიმმრეწვმშენის სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ა. ბერიძე — ნორმატიულ-საკვლევი სადგურის უფროსი, ზ. მურკვილაძე — „კომუნისტის" საკ. კორ.

ხალხთა ძმობისა და სიყვარულის დროშით!

Сиҳеҳсакан Ҳаҳасстан

მეგობართა გაზეთების გაცვლის ფურცლებზე

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მშრომელთა შეჯიბრება

ურღვევი, ძმური მეგობრობა აკავშირებს ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მშრომელებს. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის ურთიერთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დღითიდღე სულ ახალ-ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ.

მეოთხედი საუკუნეა ერთმანეთს ეჯიბრებიან, მუშაობის თავიანთ მდიდარ გამოცდილებას უზიარებენ და საერთო ძალებით მაღალ საწარმოო და შრომითს მაჩვენებლებს აღწევენ **მახარაძის** საწარმოო სამმართველოს სოფელ ნატანების კოლმეურნე მეჩაიეები და სომხეთის სსრ **ჰოქტემბერიანის** საწარმოო სამმართველოს სოფელ ნალბანდიანის კოლმეურნეობის მებამბეები და მევენახეები.

ასეთივე ძმური ურთიერთობა და შრომითი თანამეგობრობაა დამყარებული **არტაშატის** (სომხეთი) და **ნორაშენის** (ნახჭევნის ასსრ), **გორისის** (სომხეთი) და **დაჩინის** (აზერბაიჯანი), **სპიტაკის** (სომხეთი) და **გორის** (საქართველო) საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობათა მშრომელებს შორის.

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ახალ აზვირთებას სპეციალური ნომერი მიუძღვნა ამ დღეებში სომხეთის რესპუბლიკურმა გაზეთმა **„სოვეტაკან ჰაიასტანმა"**.

ნომერში მოთავსებულ საინტერესო მასალებს შორის ყურადღებას იპყრობს სომხეთისა და საქართველოს იმ საწარმოო სამმართველოებისა და კოლმეურნეობების მუშაკთა კოლექტივების მიწერ-მოწერა, რომლებიც შვიდწლედის მეხუთე წლის დავალებათა წარმატებით განაღდებისათვის შეჯიბრებაში ებმებიან. გაზეთში დაბეჭდილია სომხეთის სსრ ჰოქტემბერიანის საწარმოო სამმართველოს სოფელს ნალბანდიანის კოლმეურნეობის მებამბეებსა (იმნაძე, ჯახუტაშვილი, ჩიქოვანი, გეორგიევი, უკლება, ვოლდეიტი და სხვები) მნიშვნელოვნად გაზარდეს სამშენებლო მოედნებზე სპეციალისტების რიცხვი, ბევრ ადგილას შემოიღეს ორ ცვლად მუშაობა. ამ ღონისძიებამ დააჩქარა მუშაობის ტემპები, გაა

კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის ინტერესებისათვის

საზღვარგარეთის გამოცემათა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილზე ჩინეთის კპ ცენტრალური კომიტეტისადმი

ვრცელ. გაზეთმა „რუდე პრავომ“ გამოაქვეყნა მოწინავე სტატია, რომელიც ეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი. ამ წერილს, წერს გაზეთი, საკუთრივ დაეთანხმნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ყველა წევრი და მოძმე კომუნისტურ პარტიათა წევრები, რომლებისთვისაც ძვირფასია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა.

ჩვენ, წერს „რუდე პრავო“, თანახმა ვართ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრაზე განიხილონ თანამედროვეობის მთავარი საკითხები და პრობლემები. დარწმუნებული ვართ, რომ თუ ასეთი შეხვედრა გაიმართება, თუ იგი მოტანს დადებით შედეგებს, ეს იქნება დიდი წვლილი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებაში, ყველა ჩაგრულის განთავისუფლებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

სოფია. განსაკუთრებული ინტერესით წავიკითხე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილი ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, განაცხადა ბულგარელმა კომუნისტმა 1902 წლიდან დრაგოი კოჯეიკოვმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველთვის მამობრივი ზრუნვითა და ყურადღებით ეკიდებოდა მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, უწევდა მათ დახმარებას, აღნიშნა დ. კოჯეიკოვმა. თავისი ინტერნაციონალური პოლიტიკის უაღრესად ერთგული, საბჭოთა კომუნისტების პარტია უკანასკნელ დროს ყოველ ღონეს ხმარობს კომუნისტურ მოძრაობაში წარმოშობილ უთანხმოებათა აღმოსაფხვრელად.

სულითა და გულით ვიწონებ და გულმხურვალედ ვუჭერ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს და მადლობას ვუხდი ლენინის დიად პარტიას იმისათვის, რომ დიდად ზრუნავს კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის, განაცხადა დ. კოჯეიკოვმა.

ცეილონზე საბჭოთა კავშირის დახმარებით შენდება მეტალურგიული ქარხანა. სსრ კავშირიდან მნიშვნელოვანი რაოდენობით მიღებულია სამშენებლო ტექნიკა და მოწყობილობა. ცეილონელ მუშებთან და სპეციალისტებთან ერთად მშენებლობაზე შრომობენ საბჭოთა ინჟინრები და ტექნიკოსები. ცეილონელი მეტალურგები სწავლობენ სსრ კავშირის საწარმოებში. ყველა სამუშაო გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე სრულდება.

სურათზე: საბჭოთა ტექნიკა სამშენებლო მოედანზე.

ფოტო ა. მატიუშინისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

• უცხოეთის ამბები • ქრონიკები • კომენტარები •

დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი

რიო-დე-ჟანეირო, 4 აპრილი. (საკადესი). „საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა ხელსაყრელია ბრაზილიისათვის“, — ასეთი დასკვნა გამოაქვთ ბრაზილიის ეროვნული კონგრესის დეპუტატებსა და ამ ქვეყნის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს კომენტარებში, რომლებიც ეხება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხს ბრაზილიის გაზეთ „ულტიმა ორას“ დირექტორის პაულო სილვეირას კითხვებზე. „ჩვენ უნდა გამოვჭედოთ იარაღი სამშობლოს ეკონომიური განთავისუფლებისათვის. და თუ უცხოეთის დახმარება შემოთავაზებულია ჩვენი სუვერენიტეტის პატივისცემის გათვალისწინებით, იგი უნდა მივიღოთ“, — ამბობს დეპუტატი ნეიგა მორეირა. მას ინტერვიუში წამოყენებული ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებანი მიაჩნია „ბრაზილიის მზარდი მნიშვნელობის საერთაშორისო აღიარებად“.

დეპუტატთა პალატის ეკონომიური კომისიის თავმჯდომარე ოსვალდო ლუის ფილიო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირსა და ბრაზილიას შორის არ არის ეკონომიური წინააღმდეგობანი და რომ ორივე ქვეყნის ურთიერთობა უნდა განმტკიცდეს.

„წარმტაცი იდეა“, — ასე აფასებს ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებებს გუანაბარის შტატის ვიცე-გუბერნატორი ელოი დუტრა. „მე, — განაცხადა მან, — მიმაჩნია, რომ ეს წინადადებანი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი ეკონომიური განვითარების გზაზე და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში“.

სან-პაულოს შტატის სავაჭრო ფედერაციის თავმჯდომარემ მაშადო ნეტომ აღნიშნა, რომ ბრაზილიამ უნდა განამტკიცოს ეკონომიური ურთიერთობა სოციალისტური ქვეყნებთან. ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებანი შეიცავენ ახალ შესაძლებლობებს ამ გზაზე, ხაზგასმით აღნიშნა მან.

მეგობრობის საძირკველი

საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 15 წლისთავთან დაკავშირებით სააგენტო „ახალი ამბების“ ჰელსინკელმა კორესპონდენტმა საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ თავმჯდომარეს პროფესორ იორან ფონ ბუნსდორფს სთხოვა გაეზიარებინა თავისი აზრები ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებაში ამ ხელშეკრულების როლისა და მნიშვნელობის შესახებ.

— ხელშეკრულებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ნდობის ურთიერთობის განვითარებას, — ამბობს პროფესორი ფონ ბუნსდორფი. — ხელშეკრულება რომ დადეს, ფინეთმა და საბჭოთა კავშირმა ვალდებულება იკისრეს განავითარონ კულტურული და ეკონომიური ურთიერთობა და ამავე დროს ხელი შეუწყონ მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების საქმეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად. ხელშეკრულების დადებით აგრეთვე საძირკველი ჩაეყარა ჩვენი ქვეყნების საზოგადოებრიობას შორის გაცხოველებული ურთიერთობის განვითარებას.

ილაპარაკა რა საზოგადოება „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ მოღვაწეობის შესახებ, პროფესორმა იორან ფონ ბუნსდორფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზოგადოებას ძალიან დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფინელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განვითარების საქმეში. მარტო იმ სახელმწიფო მოღვაწეთა ღონისძიებები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, არ კმარა იმისათვის, რომ მეგობრობისა და თანამშრომლობისადმი სწრაფვა ცოცხალ რეალობად იქცეს. მთელი თავისი მოღვაწეობით „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოებამ ხელი შეუწყო ნდობითა და გულითადობით აღსავსე იმ ურთიერთობის განხორციელებას, რომელიც ამჟამად ჩვენს ხალხებს შორის მეფობს.

ბუნსდორფმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხელშეკრულება მოწოდებულია განახორციელოს ჩრდილოეთ ევროპაში პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია მსოფლიოს ამ ნაწილში მცხოვრები ყველა ხალხის სასარგებლოდ.

ფინეთს, თქვა ბუნსდორფმა, ხელშეკრულება მიაჩნია ჩვენი მეგობრობის სალიტმუსად. ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ურთიერთობა წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ როგორ შეიძლება პრაქტიკაში ხორციელდებოდეს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, და მთელი კაცობრიობის ინტერესებს ემსახურება.

ჰელსინკი. **ნ. ფომინი.**

პრეზიდენტი აღიარებს

ჯ. კენედის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 4 აპრილი. საკადესის კორესპონდენტები **მ. ხალათელიანი** და **გ. ლერეენსკოი** იუწყებიან:

„არ ვიცი“, — განაცხადა გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ პასუხად კითხვაზე, შეუძლია თუ არა მას თქვას, თუ როდის დაიწყებიან შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირს კოსმოსის კვლევაში. შემდეგ უპასუხა რა ამ კითხვაზე, რომელიც გამოწვეა მორიგი საბჭოთა კოსმოსური სადგურის გაშვებამ მთვარის რაიონში, პრეზიდენტმა თქვა, რომ შეერთებულ შტატებს მეორე ადგილი უკავიათ კოსმოსის ათვისებაში საბჭოთა კავშირის შემდეგ.

„სავსებით ცხადია, — განაგრძო კენედიმ, — რომ საბჭოთა კავშირს უდიდესი უპირატესობა აქვს დიდი დამჭერებელი რაკეტების მხრივ“. შეერთებულ შტატებს, დასძინა. მან, ასეთი დამჭერებელი რაკეტები არ ექნებათ 1964, 1965 ან 1966 წლამდე. „ჩვენ ჩამოვრჩებით ახლა, ჩამორჩენილი ვიქნებით კვლავაც“, — აღიარა პრეზიდენტმა, მაგრამ ამავე დროს იმედი გამოთქვა, რომ მიმდინარე ათწლეულის დამლევს ამერიკის შეერთებულ შტატებს ექნებათ შანსი გაუსწორონ საბჭოთა კავშირს კოსმოსის ათვისების დარგში, თუ განახორციელებენ ამ მიზნიდან გადამწყვეტ ღონისძიებებს.

ოთხ-ჯასუხა კითხვაზე, რომელიც შეეხებოდა კუბელ კონტრრევოლუციონერთა ბანდების ამასწინანდელ მეკობრულ თავდასხმებს კუბის სანაპიროებსა და საბჭოთა სავაჭრო გემებზე, პრეზიდენტმა ფაქტიურად აღიარა, რომ ასეთი თავდასხმები შეიძლება მომხდარიყო შეერთებული შტატების ტერიტორიიდანაც. „ფლორიდის სანაპირო ხაზი გრძელია, — განაცხადა მან, — და ზოგიერთს შესაძლებლობა აქვს წავიდეს ფლორიდიდან, მიაყენოს დარტყმა რომელიმე ობიექტს და უკან დაბრუნდეს“.

მაგრამ კენედი ამტკიცებდა, რომ თავდასხმები განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დაუკითხავად და რომ ამ თავდასხმებს იგი არ აქებს. მისი სიტყვით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ეს თავდასხმები მიაჩნია „არაეფექტიანად“, რადგანაც ისინი რაიმე „რეალურ დარტყმას“ არ აყენებენ კასტროს მთავრობას, შეუძლიათ გამოიწვიონ დაძაბულობის გაძლიერება და „შესაძლოა, საპასუხო მოქმედება ამერიკის გემების წინააღმდეგ“.

კენედიმ შეაქო იმ კუბელ კონტრრევოლუციონერთა საქციელი, რომლებიც, კუბაში არსებული რევოლუციური წყობილების დამხობას რომ ცდილობენ, დაადგნენ სხვა გზას — შევიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში და „შეუძლიათ ხელი შეუწყონ საერთო საქმეს“.

პრეზიდენტის ასეთ განცხადებას, რომელშიც მან გადაკვრით აღნიშნა, თუ რა გზით სურს ვაშინგტონს იბრძოლოს მომავალში რევოლუციური კუბის წინააღმდეგ, კორესპონდენტები განსაკუთრებული ყურადღებით შეხვდნენ.

კენედი შეეხო წინადადებებს ფედერალური ბიუჯეტის გასავლის ნაწილის შემცირების შესახებ და თქვა, რომ არ შეიძლება მნიშვნელოვანი შემცირება, თუ „გული არ ამოვგლეჯეთ სამხედრო ბიუჯეტს“... „ახლანდელი მთავრობა, — აღნიშნა პრეზიდენტმა, — მას შემდეგ, რაც ხელთ აიღო ძალაუფლება, მთავარ ყურადღებას აქცევს შეიარაღებული ძალების განმტკიცებას“.

პრეს-კონფერენციის მსვლელობაში კენედიმ თქვა, რომ ევროპაში მოგზაურობის დროს, რომელიც გათვალისწინებულია ივნისის მეორე ნახევრისათვის, მას განზრახული არა აქვს შეჩერდეს ლონდონში ან პარიზში, არამედ ეწვევა რომს, ბონსა და დასავლეთ ბერლინს.

დიდი ტირაჟით

ტოკიო, 4 აპრილი. (საკადესი). იაპონიაში დიდი ტირაჟით გამოიცა ბროშურა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა კულტურის დარგში“. ბროშურაში დაბეჭდა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა „მაღალი იდეურობა და მხატვრული ოსტატობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიადი ძალაა“ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. თ. ილიჩოვის სიტყვა „მხატვრის პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე“, რომლებიც მათ წარმოთქვეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან. ბროშურა მიიღეს დედაქალაქის წიგნის კიოსკებმა.

ბ. ბუბნოვი

გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე

ბ. ს. ბუბნოვის დაბადების 80 წლისთავი

დღეები დღეებს ემატება, წლები — წლებს. და რაც უფრო წინ მივდიოთ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, მით უფრო მკაფიო და ნათელი ხდება იმ ადამიანთა დამსახურება, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე შეგნებულად მოახმარეს ხალხთა ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლის საქმეს.

ასეთ შესანიშნავ ადამიანთა სახელებს მოწიწებით ინახავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ისტორია. მათ შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს **ანდრია სერგის-ძე ბუბნოვს** (1883-1940).

იგი დაიბადა ქალაქ ივანოვო-ვოზნესენსკში. ბუბნოვის ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები ემთხვევა რუსეთში მარქსიზმის თესლის შემოტანას და რევოლუციური იდეალობის წლებს. 17 წლის ბუბნოვი ებმება აქტიურ რევოლუციურ მოძრაობაში.

1903 წელს ბუბნოვი შედის რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში და იბრძვის მუშათა მოძრაობაში ბოლშევიზმის გამარჯვებისათვის, არის მარქსიზმის იდეების მგზნებარე პროპაგანდისტი.

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ბუბნოვი შედიოდა ჯერ პარტიის ივანოვო-ვოზნესენსკის კომიტეტის შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ იყო რსდმპ(ბ) ივანოვო-ვოზნესენსკის კავშირის ბიუროს წევრი და სხვა ბოლშევიკებთან ერთად სათავეში ედგა რევოლუციურ მოძრაობას.

ბუბნოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა როგორც დელეგატი პარტიის IV და V ყრილობების მუშაობაში. 1907 წელს პარტიის დავალებით სამუშაოდ გადავიდა მოსკოვში და იყო პარტიის მოსკოვის კომიტეტის წევრი. იგი 1908 წელს აირჩიეს ცენტრალური საბრეწველო რაიონის საოლქო ბიუროს შემადგენლობაში და დელეგატად სრულიად რუსეთის V პარტიულ კონფერენციაზე. მაგრამ კონფერენციის მუშაობის დაწყებამდე იგი დაპატიმრებულ იქნა.

ციხეში ბუბნოვს ერთი წელიც არ დაუყვია. მალე მოახერხა განთავისუფლება და 1909 წლიდან ეწევა აქტიურ რევოლუციურ მუშაობას, როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის აგენტი. 1910 წელს ბუბნოვი კოპტირებულ იქნა რუსეთის ბოლშევიკური ცენტრის შემადგენლობაში.

1912 წლის იანვარში პრაღის VI პარტიულ კონფერენციაზე ბუბნოვი არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად. ამავე წლის გაზაფხულიდან ბუბნოვი სამუშაოდ გადადის პეტერბურგში და აქტიურ მონაწილეობას იღებს გაზეთ „პრავდის“ გამოცემაში.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების დღიდანვე ბოლშევიკებმა ვ. ი. ლენინის მეთაურობით ომისადმი დამოკიდებულების საკითხში დაიკავეს სავსებით თანმიმდევრული ინტერნაციონალისტური პოლიტიკა და თავიდანვე ამხილეს მისი იმპერიალისტური, ყაჩაღური ხასიათი. ასეთივე პოზიცია ეკავა ა. ბუბნოვსაც. მეფის ჟანდარმერია კვალდაკვალ დასდევდა ბუბნოვს და იგი მალე დაპატიმრებულ იქნა. მეფის სასამართლომ. ბუბნოვი გადაასახლა პოლტავაში, მაგრამ იქიდან იგი მალე გადავიდა სამარაში სამუშაოდ.

ვოლგისპირეთშიც ბუბნოვს დიდხანს არ დასცალდა რევოლუციური მუშაობა. 1916 წლის ოქტომბერში ისევ დააპატიმრეს და ზუსტად თებერვლის რევოლუციის დღეებში გადაასახლეს შორეულ ციმბირის ტურუხანსკის მხარეში. თავისი რევოლუციური მოღვაწეობის მანძილზე ბუბნოვი დაპატიმრეს 13-ჯერ და იგი ყოველთვის ახერხებდა თავის დაღწევას საპატიმროდან, მაგრამ ამჯერად იგი რევოლუციამ გაათავისუფლა.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციები, რომლებიც ცარიზმის უაღრესად მძიმე პირობებში არალეგალურად მუშაობდნენ, გამოვიდნენ და იწყეს ამკარა პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაშლა. ამ დროს ბუბნოვი ბრუნდება მოსკოვში. 1917 წელს პარტიის VI ყრილობაზე ბუბნოვი არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად.

1917 წლის აგვისტოდან ბუბნოვი სამუშაოდ გადადის პეტერბურგში. ოქტომბრის რევოლუციის დროს იგი იყო პეტერბურგის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი. 1917 წლის 10(23) ოქტომბერს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ სხდომაზე ბუბნოვი არჩეულ იქნა პოლიტბიუროს წევრად, ხოლო ცენტრალური კომიტეტის 16(29) ოქტომბრის სხდომაზე შეყვანილ იქნა შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელი სამხედრო-რევოლუციური პარტიული ცენტრის შემადგენლობაში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ 1918 წელს ბუბნოვი მიემართა „მემარცხენე კომუნისტებს“ და მათთან ერთად მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებში დაუშვა შეცდომები.

1919 წლის მარტში ბუბნოვი სამუშაოდ მიელინებულ იქნა უკრაინაში. პარტიის VIII ყრილობაზე ბუბნოვი არჩეულ იქნა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად და ამავე დროს იყო უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, კიევის საბჭოს თავმჯდომარე. 1921-22 წლებში ბუბნოვი იყო ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის და პირველი ცხენოსანი არმიის სამხედრო რევოლუციური საბჭოს წევრი.

1922-23 წლებში ბუბნოვი მუშაობდა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში აგიტპროპის გამგედ. 1924 წლის დასაწყისში მას ნიშნავენ წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსად და არის საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს წევრი. 1925 წელს ირჩევენ საკ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1929 წელს ბუბნოვი იხმობენ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრად.

პარტიის XIII, XIV, XV, XVI, XVII ყრილობებზე ა. ს. ბუბნოვი არჩეული იყო ცენტრალური კომიტეტის წევრად. იგი იყო ავტორი მრავალი ნაშრომისა პარტიის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე.

ა. ს. ბუბნოვის სახელი მუდამ ჯეროვნად იქნება შეფასებული საბჭოთა ხალხის ისტორიაში.

ტელეგრაფი გვატყობინებს

☐ **ნიუ-იორკის შტატის საკანონმდებლო კრებამ ქალაქის მერს ვაგნერს დაავალა შემოიღოს ნიუ-იორკში მოსახლეობის ახალი გადასახადები. გადასახადების საერთო თანხაა ორას ოცდაათი მილიონი დოლარი წელიწადში.**

☐ **ჰანოი. ათობით ახალი სარწყავი სისტემა და ჰიდრონაგებობა შეიქმნა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიმდინარე წლის სამ თვეში. ამ ნაგებობათა მშენებლობის დროს შესრულდა ორ მილიონზე მეტი კუბური მეტრი მიწის სამუშაო.**

☐ **პორტუგალიელი კოლონიზატორები ზრდიან სამხედრო ძალებს აფრიკის კოლონიებში მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან საბრძოლველად. 8 აპრილს ლისაბონის ნავსადგურიდან გავიდა თბომავალი. თბომავალზე იყო 500 სალაზარელი დამსჯელი, რომლებიც ბისაუში (პორტუგალიის გვინეა) მიემგზავრებოდნენ.**

☐ **იაპონიის დედაქალაქმა ტოკიომ უკანასკნელ წლებში „მძვინვარე ხანძრების ქალაქის“ სავალალო სახელი დაიმკვიდრა. ყოველწლიურად ხანძრისაგან მიყენებული ზარალი საშუალოდ 39 მილიარდ იენს შეადგენს. ხანძრისაგან უშუალოდ ზარალდება 160 ათასი ტოკიოელი.**

☐ **ამერიკის კომპანია „შენანდოამ“ დასავლეთგერმანულ ფირმებს ჩექმების საწმენდ ჩვრებად მიჰყიდა ამერიკის ეროვნული ალმების დიდი პარტია. კონგრესმენმა მერფიმ მოითხოვა ამ გარიგების გამოძიება, რომელიც მისი სიტყვებით, „ამერიკის ზნე-ჩვეულებათა და პრესტიჟის ფეხქვეშ გათელვის უსაძაგლესი მაგალითია“.**

☐ **ტოკიოს მუნიციპალურმა ხელისუფლებამ გამოაქვეყნეს მიმართვა, რომელშიც დედაქალაქის ათმილიონიან მოსახლეობას მოუწოდებენ მინიმუმამდე შეამცირონ წყლის მოხმარება. ტოკიოს სამი წყალსაცავი შრება დედაქალაქის რაიონში გვალვის გამო. (საკადესი).**

ძია სემს გრძელი ხელები აქვს

„ერაყის ამბები და ამერიკის შეერთებული შტატების როლი“ — ამ სათაურით დაბეჭდილ სტატიაში ნიუ-იორკის გაზეთი „ნეიშნლ გარდიანი“ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და ამერიკის ნავთობის მონოპოლიები „უეჭველად მონაწილეობდნენ“ ერაყის ამბებში.



ნახატი ბიდსტრუპისა დანიურ გაზეთ „ლანდ ოგ ფოლკლიდან“.

ერაყის ეროვნული საბჭოს რწმუნებანი

ლონდონი, 5 აპრილი. (საკადესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, გუშინ ერაყში გამოქვეყნდა კანონი, რომელიც განსაზღვრავს ერაყის რევოლუციის ეროვნული საბჭოს რწმუნებებსა და შემადგენლობას. კანონი უფლებას აძლევს საბჭოს შეიმუშაოს, შეცვალოს და გააუქმოს კანონები, მოიწონოს ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, გამოაცხადოს ომი და დადოს ზავი, დაამტკიცოს არმიის, პოლიციისა და ეროვნული გვარდიის უმაღლესი სარდლობა, შექმნას და დაითხოვოს მთავრობა, გამოსცეს სპეციალური კანონები ამნისტიის შესახებ.

ამ კანონის თანახმად, ერაყის პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია. საბჭოს წევრთა რიცხვი 20 კაცს არ უნდა აღემატებოდეს.

კანონი ძალაში შესულად ითვლება 8 თებერვლიდან — ერაყში მომხდარი გადატრიალების დღიდან.

მაღაროელებმა გაიმარჯვეს

პარიზი, 4 აპრილი. (საკადესი). დღეს საფრანგეთის მაღაროელთა საერთო ეროვნული გაფიცვის 35-ე დღეა. მაღაროელთა შეკავშირებამ და სიმტკიცემ დამსახურებული ნაყოფი გამოიღო. გუშინ საღამოს გაფიცულთა წარმომადგენლებმა და შახტების ადმინისტრაციამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის შესაბამისად დაკმაყოფილებულია პრაქტიკულად მუშათა ყველა ძირითადი მოთხოვნა.

დღეს დილიდან საღამომდე შეთანხმების პირობებს თვითონ გაფიცული მაღაროელები ამტკიცებენ. ეს ხდება უაღრესად დემოკრატიული გზით: მეშახტეთა კრებებსა და მიტინგებზე ყველა პროფკავშირული გაერთიანების წარმომადგენლები აცნობენ მათ მოლაპარაკების შედეგებს და განმარტავენ პროფკავშირთა თვალსაზრისს. შემდეგ მაღაროელები კენჭს უყრიან. მათი კენჭისყრის შედეგებზე დამოკიდებულია, განაახლებენ ხვალ მუშაობას თუ განაგრძობენ გაფიცვას.

როგორც ცხადყოფს პირველი გამოხმაურება მეშახტეთა დაბებში, მაღაროელები შეხვდნენ დადებულ შეთანხმებას როგორც დიდ წარმატებას. „პირველი ბრძოლა მოგებულია“, — განაცხადეს გაფიცულებმა მერლებაკში (ლორენი).

ერაყის ეროვნული საბჭოს რწმუნებანი

ლონდონი, 5 აპრილი. (საკადესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, გუშინ ერაყში გამოქვეყნდა კანონი, რომელიც განსაზღვრავს ერაყის რევოლუციის ეროვნული საბჭოს რწმუნებებსა და შემადგენლობას. კანონი უფლებას აძლევს საბჭოს შეიმუშაოს, შეცვალოს და გააუქმოს კანონები, მოიწონოს ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი, გამოაცხადოს ომი და დადოს ზავი, დაამტკიცოს არმიის, პოლიციისა და ეროვნული გვარდიის უმაღლესი სარდლობა, შექმნას და დაითხოვოს მთავრობა, გამოსცეს სპეციალური კანონები ამნისტიის შესახებ.

ამ კანონის თანახმად, ერაყის პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაური და შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია. საბჭოს წევრთა რიცხვი 20 კაცს არ უნდა აღემატებოდეს.

კანონი ძალაში შესულად ითვლება 8 თებერვლიდან — ერაყში მომხდარი გადატრიალების დღიდან.

საგჭოთა კოსმონავტები ნიტეროიში

რიო-დე-ჟანეირო, 4 აპრილი. საკადესის კორესპონდენტი ე. ელშოვი იტყობინება:

„რა არის დღეს ახალი კოსმოსში!“ — გამოუმეორეთ ეკითხებან საბჭოთა კოსმონავტებს ა. ნიკოლაევსა და პ. პოპოვიჩს, რომლებიც ვიზიტად იმყოფებიან ბრაზილიაში.

და აი, მოვიდა ახალი ამბავი: „მთვარე-4“, ცნობა მძლავრი ავტომატური სადგურის გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ გადაიცა რადიოთი, გამოქვეყნდა გაზეთების პირველ გამოშვებებში. ერთ-ერთი უდიდესი გაზეთი „ეორნალ დო ბრაზილი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს ყველა შესაძლებლობა აქვს პირველმა, ამერიკის შეერთებულ შტატებზე ადრე, გაგზავნოს ადამიანი მთვარეზე. ბრაზილიელები სულითა და გულით ულოცავენ საბჭოთა მეცნიერებსა და ინჟინრებს, რომლებიც ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ კოსმოსის ათვისებაში. ისინი სთხოვენ კოსმონავტებს უთუოდ განაცხადონ ეს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

ა. ნიკოლაევი და პ. პოპოვიჩი ჩავიდნენ რიო-დე-ჟანეიროს შტატის დედაქალაქ ნიტეროიში, სადაც გაიმართა ლათინური ამერიკის ქვეყნების კუბასთან სოლიდარობის კონგრესი. სტუმრებს აღფრთოვანებით შეხვდნენ ნავსადგურის მუშები და მოსასახურენი. კოსმონავტები ეწვივნენ შტატის გუბერნატორს ბაჯერ სილვეირას, მეგობრული საუბრის დროს ისინი ესაუბრნენ გუბერნატორს კოსმოსში ფრენის შესახებ, სამახსოვროდ აჩუქეს მოდელი კოსმოსკოსმოსური ხომალდისა „აღმოსავლეთი“. გუბერნატორმა გადასცა საბჭოთა კოსმონავტებს ბრაზილიური ფერადი თვლები, შტატის წიაღში მოპოვებული. სტუმრების პატივსაცემად გაიმართა სადილი.

იმავე დღეს ა. ნიკოლაევი და პ. პოპოვიჩი შეხვდნენ ბრაზილიის საზღვაო მინისტრს, ადმირალ პედრო დე არაუჟო სუზანოს, „ბრაზილია-სსრ კავშირის“ კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის წევრებს, აგრეთვე გამოვიდნენ ტელევიზიით.

მთავრობის ბედი ბეწვზე ეკიდა

კანბერა. 4 აპრილი. (საკადესი). მენზისის მთავრობამ, რომელსაც პარლამენტის ოპოზიციამ დღეს უნდობლობა გამოუცხადა, მხოლოდ ერთი ხმის უმრავლესობით შეინარჩუნა ძალაუფლება. მენზისის მთავრობისათვის უნდობლობის ვოტუმის რეზოლუციას ხმა მისცა 58 კაცმა, წინააღმდეგ — 59-მა. რეზოლუცია შეიტანა ოპოზიციამ, რომელმაც მთავრობას ბრალად დასდო ის, რომ დამაკმაყოფილებლად არ წყვეტს საგარეო და საშინაო პოლიტიკის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

ბენ ბელას გამოსვლა

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. (საკადესი). „არასოდეს არ განვახორციელებთ ანტიკომუნიზმის კამპანიას ალჟირში, თუმცა არც კომუნისტები ვართ და არც მარქსისტები“, — განაცხადა ალჟირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბენ ბელამ, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა ალჟირის მახლობლად მდებარე „ერრიატის“ სახალხო განთლების ცენტრში, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი ალჟირიდან.

ბენ ბელა შეეხო დახმარებას, რომელსაც სოციალისტური ქვეყნები უწევდნენ ალჟირელებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, და თქვა, რომ ალჟირელი ჯანყებულები მიესალმებოდნენ ამ დახმარებას.

როცა ილაპარაკა ატომური იარაღის გამოცდაზე, რასაც საფრანგეთი ახორციელებს ალჟირის საჰარაში, ალჟირის მთავრობის მეთაურმა განაცხადა: „არასოდეს არ დავუშვებთ, რომ ჩვენი ქვეყანა გადაიქცეს ატომური ბომბების გამოცდის პოლიგონად. საფრანგეთის მთავრობას შევატყობინეთ ეს“.

ბენ ბელამ აგრეთვე განაცხადა, რომ მისი მთავრობა ახორციელებს დიდი მამულების ნაციონალიზაციას, რომლებიც ფრანგებსა და ალჟირელებს ეკუთვნოდათ.

ბენ ბელა შეეხო მაღრიბის (მაროკო, ალჟირი და ტუნისი) გაერთიანების გეგმებს და განაცხადა, რომ „ეს გაერთიანება არ იქნება არაბული სამყაროს ერთიანობის შესაბამისი, თუ იგი იმპერიალიზმის ხელში გადაიქცევა „კურთხეული ნახევარმთვარის“ ქვეყნების ფედერაციის („კურთხეული ნახევარმთვარის“ ქვეყნების ფედერაცია ერაყის, სირიის, იორდანიისა და ლიბანის გაერთიანებაა ინგლისის ჰეგემონიით) სახეშეცვლილ ვერსიად“.

დაიწყო გამოძიება გლობკეს საქმის გამო

ბერლინი, 4 აპრილი. (საკადესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა იოზეფ შტრაიტმა დაიწყო გამოძიება ადენაუერის კანცელარიის სტატს-მდივნის, ყოფილი აქტიური ნაცისტის ჰანს გლობკეს საქმის გამო, რ

ნიკოლოზ ტიხონოვის პატარა მეგობარი

მაშინ 1939 წლის ზაფხული იყო. წყნეთში დასასვენებლად პოეტ გ. ლეონიძეს სტუმრად ეწვია ცნობილი რუსი პოეტი, საქართველოს გულითადი მეგობარი ნ. ტიხონოვი. მეზობლად ისვენებდა დედა და შვილი — 4 წლის ნანიკო. ტიხონოვს მოეწონა ენერგიტიკა პატარა ნანიკო, დაჰყავდა ბაღში, ასეირნებდა, უყვებოდა ზღაპრებს და ზოგჯერ ეთამაშებოდა კიდეც.

სწორედ იმ ზაფხულს ნანიკოს ვუსაჩუქრე ალბომი და ყოველი ფურცლის კუთხეში ცხოველთა და ფრინველთა სხვადასხვა სურათი ჩავუკარი. ნ. ტიხონოვმა გამოართვა ალბომი და სთხოვა რამდენიმე დღით დაეტოვებინა მასთან.

ერთ დღეს ნანიკო გახარებული დამხვდა სახლში, დამინახა თუ არა, მომრბენინა ალბომი და შემომჩივლა: „ძია კოლიას“ (ასე ეძახდა ტიხონოვს) ვეჩხუბე, ჩემი ალბომი ლექსებით აუვსია და სხვამ რა უნდა ჩამიწეროსო; ისიც მითხრა, ამ ალბომის ერთი ფურცელი დაუწერლად შეინახე, რუსეთიდან გამოგიგზავნი იქ ჩასაკრავ სურათსა და ლექსსო.

მალე პოეტი ლენინგრადში დაბრუნდა და რამდენიმე თვის შემდეგ შეპირებული სურათი და ლექსი გამოუგზავნა ნანიკოს. სურათზე ტიხონოვის კატა ლარიონი იყო გამოსახული. ნანიკომ სურათი და ლექსი ალბომში ჩაკრა, ფაქიზად შეახვია ალბომი და წიგნების კარადაში შეინახა.

1947 წელს ტიხონოვი ისევ ეწვია თბილისს. ჩამოსვლისთანავე გაიხსენა თავისი პატარა მეგობარი და სახლში ესტუმრა. იგი სიამოვნებით უსმენდა ნანიკოს დაკვრას ფორტეპიანოზე.

ალბომის დათვალიერებისას კატის სურათს წააწყდა, და ნაღვლიანი სახე მიიღო. როცა მოწყენის მიზეზი ვკითხეთ, გვიამბო:

— ჩემი კატა ლარიონი შიმშილობის დროს დაიღუპა ალყაშემორტყმულ ლენინგრადში. ერთხელ, როდესაც სახლის კარი შეკეტილი, ელდა მეცა, კატა ფანჯრის მინაზე მიყინული დამხვდა.

მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო. ნანა ბუალავამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. იგი თვითონ გახდა ქალ-ვაჟის დედა.

საქართველოს გულწრფელი მეგობარი, რუსული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენელი ნ. ტიხონოვი დღესაც განაგრძობს მიწერ-მოწერას ახალგაზრდა ქართველი დიასახლისის ოჯახთან, სადაც ეს ალბომი საშვილიშვილოდ ინახება. ესეც მოძმე ხალხთა შვილების კიდევ ერთი ტაბლი მეგობრობის გამოხატულებაა.

ი. თელია.

ხელოვნების ქრონიკა

ახალი სპექტაკლი

სოხუმი. (საკ. კორ.). სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა დ. ფლეტჩერის კომედია „როგორ მოვარჯულოთ ცოლი“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა ლევან მირცხულავამ, მხატვრულად გაფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. შტეინბერგმა, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ მ. ბერიკაშვილს.

მორიგი პრემიერა

ჭიათურა. (საკ. კორ.). აქ, წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა კ. ბუაჩიძის სამმოქმედებიანი კომედია „მკაცრი ქალიშვილები“. სპექტაკლი დადგა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ს. ცომაიამ, მხატვრულად გაფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მ. აბაკანდაძემ, მუსიკა დაწერა გ. თხელიძემ.

„პირველი მერცხლები“ ნუკრიანში

სიღნაღი. (საკ. კორ.). ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ კლუბის დრამატული კოლექტივი, რომელშიც კოლმეურნეები არიან გაერთიანებულნი, ნაყოფიერად მუშაობს. კოლმეურნე მსახიობებმა მაყურებელს უჩვენეს ო. რაზმაძის პიესა „პირველი მერცხლები“, რომელმაც მოწონება დაიმსახურა.

ინდოეთი ჟურნალისტის თვალით

ინდოეთის კონგრესის პარტიის ჟურნალ „სოშელის კონგრესმენის“ მთავარი რედაქტორი ხარშ დევ მალავია ორ დღეს იყო სტუმრად საქართველოში. იგი ჩამოვიდა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის მოწვევით.

ეს ჩემი მეოთხე ჩამოსვლაა საბჭოთა კავშირში, — თქვა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში ხარშ დევ მალავიამ, — და ყოველთვის ვხედავ თქვენი ქვეყნის ახალ თვალსაჩინო წარმატებებს. განცვიფრებული ვარ ყოველივე იმით, რაც საქართველოში ვნახე.

ხარშ დევ მალავიამ აღნიშნა, რომ ბევრ ყურადღებას უთმობს მიწათმოქმედების საკითხებს და ამიტომ მისთვის საინტერესო იყო გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის დათვალიერება. გლეხების ცხოვრების დონე მეტად მაღალია, ხაზი გაუსვა მან. წარმოების ორგანიზაცია კოლმეურნეობაში დიდ ქებას იმსახურებს.

საუბრის დასასრულს ინდოელმა ჟურნალისტმა განაცხადა:

— საქართველომ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ყველგან ვგრძნობდი, თუ რა პატივისცემითა და სიმპათიით ეკიდება ხალხი ინდოეთსა და მის პრემიერს, რომელიც სსრ კავშირში ვიზიტის დროს განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით მიიღეს საქართველოში. (საქდესი).

ტურისტული მატარებელი ქუთაისიდან მავა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის ტურისტულ-საექსკურსიო ბაზა და ახლად შექმნილი ტურისტთა კლუბი ქუთაისის მშრომელებისათვის აწყობენ მოგზაურობას სპეციალური ტურისტული მატარებლით „საქართველოთი“.

მატარებელი შედგება 12 კომფორტაბელური ვაგონისა და 3 ვაგონ-რესტორანისაგან. მატარებელი 6 მაისს გავა სადგურ ქუთაისი-პირველიდან. მგზავრობის მატარებლის მარშრუტია: ქუთაისი — კიევი — მინსკი — ვილნიუსი — რიგა — ტალინი — ლენინგრადი — მოსკოვი — ქუთაისი.

ამ პატარა ჩანახატში თბილისის შორეული ხედია კუს ტბიდან წარმოდგენილი. მხატვარმა კვირადღეს ინახულა კუს ტბა, და რა გული მოუომენდა, ქალაქდზე არ გადაეტანა იქიდან დანახული დედაქალაქი.

ნახატი გ. ლომიძისა.

„დინამო“ (თბილისი) — „ერილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:0 (0:0).

„დინამო“ (თბილისი) — „ერილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 1:0 (0:0). თბილისი. 5 აპრილი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

„დინამო“ — ს. კოტრიკაძე, ბ. ხიჭინავა, მ. ხუციელავა, გ. ჩობელი, ჯ. ზეინკლიშვილი, შ. იამანიძე, გ. პეტრიაშვილი, ს. მეტრეველი, ვ. ბარქაია, გ. სიჭინავა, მ. მეხი; „ერილია სოვეტოვი“ — ი. კოროტკოხი, ე. მაიოროვი, გ. სარიჩევი, ი. ჩაშინი, გ. სახაროვი, ვ. შეხოვცევი, ნ. ოსიანინი, ვ. ხოლოვოვი, ბ. კაზაკოვი, ა. კაზაკოვი, ა. ფედოროვი.

ვინც „ერილია სოვეტოვისა“ და თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა გუშინწინდელ მატჩს ესწრებოდა „ბურევესტნიკის“ სტადიონზე და ამასთანავე ნახა ამ კოლექტივების ძირითად შემადგენლობათა გუშინდელი შეჯიბრება, უთუოდ ბევრს საერთოს იპოვნიდა ამ ორ ასპარეზობაში. საქმე ის როდია, რომ ორივე ეს თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 1:0, არამედ ის, რომ ორივე თამაშში თვალში გვეჯდებოდა ბრძოლის ერთნაირი სისტემა — ყველანი იერიშზე შეტევის დროს, ყველანი დაცვაში მოწინააღმდეგის კონტრთამაშის დროს.

აქ თითქოს არაფერი უნდა იყოს გასაკვირველი. იფიქრებთ — კუიბიშეველებს სწორი კურსი აქვთ აღებული, უახლოვდებიან თამაშის თანამედროვე მანერას. ისმება კითხვა — როგორია შესრულება? რასაკვირველია, იგი ჩამორჩება მოთხოვნას. ფაქტიურად სტუმრები ეყრდნობიან ფეხბურთელთა ჩინებულ ფიზიკურ მომზადებას, ხოლო მათი ტექნიკური არსენალი ვერ შეესატყვისება საჭიროებას.

ასეთ ვითარებაში თამაში გამოდის ჯგუფური, უეფექტო, კომბინაციებს მოკლებული.

თუ შესაძლებლობათა მიხედვით ვიმსჯელებთ, აქ დინამოელთა უპირატესობა აშკარა იყო და გოლებსაც მეტს მოველოდით, მაგრამ კუიბიშეველები შესანიშნავად იცავდნენ კარს, ახერხებდნენ ურთიერთ დაზღვევას, თითქოს სჯობნდნენ მეტოქეს სწრაფ ორიენტირებაში, არ ერიდებოდნენ უხეშობასაც კი.

დინამოელთა ფლანგების რიტმულ თამაშს მხარდამხარ მიჰყვებოდნენ გაორეული ცენტრები ბარქაია და იამანიძე, მოიერიშე ნახევარმცველები პეტრიაშვილი და გ. სიჭინავა, თუმცა კარგად ჩანაფიქრ კომბინაციებს აკლდა შესრულების ტემპი, მოულოდნელობები.

მეტოქეები დასასვენებლად წავიდნენ. ტაბლოზე ვხედავდით ციფრებს 0:0.

ჩანს, მწვრთნელებმა საჭირო მითითება მისცეს ფეხბურთელებს. ამიტომ მეორე ნახევარში ბრძოლამ სულ სხვა სახე მიიღო, იერიშები უფრო ორგანიზებული და სრულყოფილი გახდა, ტემპი იმატა. პირველ რიგში ეს თბილისელთა ბრძოლას დაეტყო, რასაც შედეგიც მოჰყვა. 48-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან მეტრეველის მიერ კუთხურით ჩამოწოდებულ ბურთს ბრწყინვალე ნახტომით მისწვდა პეტრიაშვილი და თავური დარტყმით კარის მარჯვენა კუთხეში მოათავსა.

შეტევას შეტევა მოჰყვა, კუიბიშეველთა კარი განუწყვეტელ შტურმს განიცდიდა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოხერხდა მისი „ალება“. თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ სტუმრები, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ორ წუთში „ერილია სოვეტოვის“ კარში 5 კუთხური დაინიშნა ზედიზედ, ხოლო საერთოდ — 18. რაც შეეხება ჯარიმებს უხეშობისათვის, აუტებს, მათი დათვლა ვერ შეძელით.

და მაინც სტუმრებმა ამ ორომტრიალს თავი დაალწიეს. ბრძოლის წუთები თანდათან მიიწურა, კუიბიშეველები აშკარა დამარცხების წინაშე იდგნენ. მათ მხოლოდ ბოლო წუთებში გვიჩვენეს შემოქმედებითი, ინიციატივიანი თამაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კოტრიკაძის ორმა ბრწყინვალე ნახტომმა დინამოელები ხიფათისაგან იხსნა.

ეს მძიმე და მომქანცველი ბრძოლა დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ვ. გაბელია.

ქუთაისელთა გამარჯვება

ქუთაისი. 5 აპრილი. (ტელეფონით საკ. კორ.). ასეთი მატჩი აქაურ მაყურებლს ჯერ არ ახსოვთ. ორი „ტორპედოს“ ბრძოლა გამოირჩეოდა შეუპოვრობით, მაღალი ტემპით, ტექნიკური მრავალფეროვნებით.

პირველი წუთები აღინიშნა გარდამავალი უპირატესობით, სხვებთან ერთად მეკარეებიც მთელი დატვირთვით თამაშობდნენ. 24-ე წუთზე სტუმრები დაჯარიმდნენ. მანძილი შორი იყო (25 მეტრი) და მეკარეს თითქოს საფრთხე არ ემუქრებოდა, მაგრამ ცხოვრებოვის დარტყმული ბურთი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ კავაზაშვილის ნახტომი ამაო გამოდგა — 1:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევრის დასაწყისში ხაჟალას წინ გაპაკავს სირაძე, ეს უკანასკნელი კი აწყდის ბულიას. დარტყმა, აირის! — 2:0. მოსკოველები აშკარა დამარცხების წინაშე აღმოჩნდნენ, ბოლო წუთებში მათ ისარგებლეს მეტოქის მცველთა უხეში შეცდომით და შეძლეს ერთი ბურთის გატანა.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის **ი. გრიგორიევის** (ბაქო) სასტვენის ხმამ აღნიშნა ქუთაისის ტორპედოელთა გამარჯვება 2:1.

გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: **მოსკოვის „ტორპედო“** — კავაზაშვილი, მედაკინი, შუსტკოვი, მეშჩერიაკოვი, ვორონინი, ხრომოვი (ტონოვი), პოსუელო, ივანოვი, განინი, ბატანოვი, სერგეევი; **ქუთაისის „ტორპედო“** — ფურშადაძე, სარჯველაძე, თორაძე, ცხოვრებოვი, მიროშნიკოვი, ნიშნიანიძე, ხაჟალია, ლეკვაკა (სირაძე), კუტივაძე, ჩხარტიშვილი, ბულია.

მატჩები და შედეგები

გუშინ საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩები შედგა კიდევ შვიდ ქალაქში.

ლენინგრადის „ზენიტი“ თბილისში წარუმატებლობის შემდეგ ერეკანს ეწვია და აქ შეხვდა ადგილობრივ „არარატს“. მძაფრ ბრძოლაში გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა 4:3.

კიშინიოვის „მოლდოვა“ კვლავ საკუთარ მოედანზე თამაშობდა. ამჯერად მისი მოწინააღმდეგე იყო სსრ კავშირის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“. სპარტაკელებმა კიდევ ორი ქულა ჩაიწერეს, მოიგეს შეხვედრა 3:0.

ხერსონში ერთმანეთს შეხვდა სტარტზე დამარცხებული ორი გუნდი — მინსკის „დინამო“ და ხარკოვის „ავანგარდი“. წარმატება მინსკელებს ხვდათ ანგარიშით 2:1.

ალმა-ატის „კაირატი“ ბაქოში ორი ქულით ჩავიდა და მეორე ტურის მატჩში „ნეფტიანიკს“ შეხვდა. სტუმრებმა სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს, დამარცხდნენ 1:2.

დონეცკში გაიმართა ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი სსრ კავშირის თასის მფლობელის „შახტიორისა“ და გასული ჩემპიონატის პრიზიორის მოსკოვის „დინამოს“ გუნდება შორის. აქ ფიქსირებულ იქნა ფრე — 0:0.

ნოვოროსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდმა მეორე მატჩიც საკუთარ მოედანზე ჩაატარა. იგი თამაშობდა ცსკა-ს ფეხბურთელთა წინააღმდეგ და შეჯიბრება ფრედ — 1:1 დაამთავრა.

კიევში ერთი მატჩი შედგა ტაშკენტში. ერთმანეთს შეხვდა ადგილობრივი „პახტაკორი“ და ლენინგრადის „დინამო“. ტაშკენტელებმა წარმატებას მიაღწიეს, გაიმარჯვეს 1:0.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

მეცნიერთა სახელოვანი გზა

ამ დღეებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, რეპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა და აგრონომიულმა საზოგადოებრიობამ ზეიმით აღნიშნეს ცნობილ მეცნიერთა — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ენციკლოპედიის კათედრის გამგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ირაკლი დიმიტრის-ძე ბათიაშვილის დაბადების 60 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წლისთავი და საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორის, აგრონომიული ქიმიის კათედრის გამგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ივანე ფაუსტის-ძე სარიშვილის დაბადების 50 და მეცნიერულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 25 წლისთავი.

ი. დ. ბათიაშვილი ცნობილი მეცნიერია. მის კალამს ეკუთვნის 80-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი და სახელმძღვანელობები უმაღლესი სასწავლებლებისათვის ქართულ და რუსულ ენებზე.

ი. ბათიაშვილი, როგორც მეცნიერი, მრავალჯერ ყოფილა მიწვეული სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ყრილობებზე, საერთაშორისო კონგრესებზე, სამეცნიერო სესიებზე.

პროფესორ ბათიაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის სოფლის მეურნეობისათვის კადრების აღზრდის საქმეში. მისი აღზრდილი ახალგაზრდა მეცნიერები და სპეციალისტები დღეს ნაყოფიერად შრომობენ მთელი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში.

ივანე ფაუსტის-ძე სარიშვილს იცნობენ როგორც გამოჩენილ მეცნიერს სოფლის მეურნეობის დარგში, სტუდენტთა გულისხმიერ აღმზრდელსა და მასწავლებელს. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი თეორიული სწავლებისა და პრაქტიკის ურთიერთშერწყმით გადაიქცა ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადების სამდგილ სამეცნიერო-ადმინისტრაციულ საქმიანობასთან ერთად დიდ შემოქმედებითს და მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. თანამედროვე აგროქიმიის პრობლემებიდან გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი მეცნიერული, მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომი და სახელმძღვანელო უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის.

მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ი. სარიშვილი ეწევა ფრიად ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, არის საქართველოს სსრ სამი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საიუბილეო სალამო, რომელიც ამ ორ იუბილარს მიეძღვნა, შეესწავლა „სიტყვათ გახსნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემეცნარეობის კათედრის გამგემ, პროფესორმა ნ. ჩხენკელმა. პროფესორ ი. ბათიაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოვიდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ინსტიტუტის პროფექტორი, პროფესორი გ. ყანჩაველი, ხოლო პროფესორ ი. სარიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დამწყრეთ მოუთხრო მეცნიერების დაწსახურებულმა მოღვაწემ პროფესორმა ა. მენაღარიშვილმა.

იუბილარებს მიესალმნენ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ნ. ლაჭყეპიანი, პროფესორი გ. ბადრიშვილი, დოცენტი ქ. ანთიძე, სტუდენტი ნანა გამყრელიძე. მომმე აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი ხ. ხალილოვი, გორის საწარმოო სამმართველოს მთავარი აგრონომი შ. ხუციშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ მთისძირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე აგრონომი ს. მოქია, პროფესორი დ. კობახიძე, პროფესორი ლ. კალანდაძე და სხვები. იუბილარების სახელზე მრავალი დეპეშა მოვიდა მოძმე რესპუბლიკებიდან.

სიტყვებით გამოსულებმა იუბილარებს უსურვეს ჯანმრთელობა, შემდგომი ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეინსლოსა და აყვავებისათვის.

იუბილარებმა, პროფესორებმა ი. ბათიაშვილმა და ი. სარიშვილმა მადლობა გადაუხადეს დამსწრეთ გულთბილი სიტყვებისა და კეთილი სურვილებისათვის, და აღუთქვეს მათ კვლავაც ჩვეული ენერგიით იმუშაონ საბჭოთა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

მრავლდება ხარაჩოები

ფოთში ხარაჩოების სიმრავლეა. ამას წინათ წულუკიძის ქუჩაზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც 60 ოჯახი შესახლდა. ამ სახლის გვერდით გიხსნა მეთევზეთა კოოპერატივის საკომისიო მაღაზია.

მალე მწყობრში ჩადგება ნავსადგურელთა ოთხსართულიანი სახლი. იგი ნაესადგურის ქუჩაზე შენდება. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა.

ხარაჩოები აღიმართა აგრეთვე კიდევ ერთი ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და ფოთვაჭრობის უნივერმაღის მშენებლობებზე.

კ. კომაახიძე.

საგარანტიო საზღვაური კოლმეურნეებს

გურჯაანი. (საკ. კორ.). გურჯაანის საწყობო სამმართველოს კოლმეურნეობებში ფართოდ ვრცელდება კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების პროგრესული მეთოდი — შრომადღეების ფულადი განაღდება. ვაზისუბნის კოლმეურნეობაში შრომადღის საგარანტიო ღირებულებად ორი მანეთი დაიწესეს. ვაზისუბნელები ყოველი თვის ბოლოს თვითეულ შრომადღეზე ორ მანეთს იღებენ. დანარჩენს მიიღებენ წლის ბოლოს. სამ თვეში კოლმეურნეებს სამოცი ათას მანეთზე მეტი მიეცათ.

შრომის ფულად ანაზღაურებაზე გადავიდა აგრეთვე ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“. ამ ღონისძიებამ საგრძნობლად განამტკიცა შრომის დისციპლინა. აამაღლა შრომის ნაყოფიერება.

მთვარე და იუპიტერი ტელევიზორის ეკრანებზე

მოსკოვი, 3 აპრილი. (საკკენსი). ავტომატური სადგურის „მთვარე-4“ გაშვების დღეს საბჭოთა ტელემაყურებლებმა ნახეს დედამიწის თანამგზავრი თავიანთი ტელევიზორის ეკრანებზე.

ეს გააკეთეს მოსკოვის შტერნბერგის სახელობის ასტრონომიული ინსტიტუტის სპეციალისტებმა. სპეციალური მოწყობილობის დახმარებით ტელესკოპს მოუერთეს სატელევიზიო მიმღები კამერა, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი გახდა მთვარის გადიდებული გამოსახულების გადაცემა ტელევიზიით.

400-ჯერ გადიდებამ საშუალება მისცა ტელემაყურებლებს დაეთვალთვალებინათ მთვარე თითქოს 1.000 კილომეტრი მანძილიდან. ტელევიზორის ეკრანზე ნათლად მოჩანდა „ზღვები“ და მთები, მთვარის ზედაპირის ბევრი დეტალი.

ტელეგადაცემას განმარტავდა ასტრონომი, პროფესორი დიმიტრი მარტინოვი. ინსტიტუტის თანამშრომლებმა გააჩერეს ტელესკოპი და საშუალება მისცეს ტელემაყურებლებს თვალყური ედევნებინათ მთვარის მოძრაობისათვის ეკრანზე.

გუშინვე მსოფლიოში პირველად ტელევიზიით უჩვენეს იუპიტერი თავისი თანამგზავრებითურთ.

დედამიწა თვალს ადევნებს ავტომატურ სადგურს „მთვარე-4“

რეპორტაჟი შორეული კოსმოსური კავშირის სპეციალური ცენტრიდან

ლამის წყვდიადში გახვეულა ცა. მხოლოდ დაბლა მცურავ ტყვიისფერ ღრუბლებში ზოგჯერ თუ გამოკრთება ოქვიათ ვარსკვლავთა სინათლე. ცაზე არც მთვარე ჩანს, რომელიც კვლავ მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრი გახდა. დედამიწის თანამგზავრისაკენ მიმავალი ავტომატური სადგური „მთვარე-4“.

ჩვენ ვიმყოფებით შორეული კოსმოსური კავშირის სპეციალური ცენტრის — დიდმნშვნელოვანი სამეცნიერო დანესებულების ტერიტორიაზე. სრულყოფილი ტექნიკით აღჭურვილ ამ დაწესებულებას სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ ავტომატური სადგურის „მთვარე-4“ გაფრენის ხელმძღვანელობის მთელი რთული კომპლექსის ტვინი. მძაფრად უბერავს ქარი. ისეთი ბნელი ღამეა, რომ 100-150 მეტრზეც კი თითქმის არაფერი ჩანს. უცბად წყვდიადში გამოჩნდა პარამოლური ანტენა — გიგანტის უზარმაზარი რკალის მოხაზულობა. ეს არის უზუსტესი ტექნიკური ნაგებობა, რომელიც ყურადღებით, მტკიცედ შემუშავებული პროგრამით თვალს ადევნებს კოსმოსური სადგურის ფრენას და არა მარტო იღებს მის სიგნალებს, არამედ დედამიწიდან გადასცემს ყველა განკარგულებას.

განვაგრძობთ გზას. რამდენიმე წუთის შემდეგ ცენტრის შენობაში ვართ, მის საკომანდო დარბაზში. ეს არის დიდი ოთახი, რომლის კედლებთან დადგმულია მიმღებ-გამაძლიერებელი სარეგისტრაციო აპარატურა, პარამეტრების გასაზომი, ფრენის მართვის ხელსაწყოები. ეგრეთ წოდებული საკომანდო პუნქტი კიბერნეტიკა, ელექტრონიკა გახდა მეცნიერება, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ისეთი კოსმოსური ექსპერიმენტების მოწყობა, როგორიც არის სამყაროს ახალი შტურმი. სამუშაოთა მიმდინარეობა კომპლექსს, რომლებიც დაკავშირებულია სადგურის „მთვარე-4“ გაფრენასთან, აქ ხელმძღვანელობს სახელმწიფო კომისია. სახელმწიფო კომისიაში შედიან მთავარი კონსტრუქტორი, კოსმონავტიკის თეორეტიკოსი, მეცნიერები, ინჟინრები.

— რა დანიშნულება აქვს ამ დარბაზს, — მივმართე ერთ-ერთ თვალსაჩინო მეცნიერს.

— ახლავე გიპასუხებთ.

მეცნიერმა ხელში აიღო პატარა მიკროფონი და ხმადაბლა მიმართა თავის უნილავ თანამშრომლებს, რომლებიც სხვა სამსახურებში იმყოფებიან.

— ლაპარაკობს „პირველი“. სეანსის დაწყებამდე ხუთი წუთი დარჩა.

დაფებზე ფერად-ფერადი ნათურები ციმციმებენ, სხვადასხვაგვარი ხელსაწყოს ციფერბლატებზე ისრები ირხევიან. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ახლოვდება პასუხსაგები სამუშაო, რომელიც მოითხოვს დიდ ცოდნას, გამოცდილებას, ზოგჯერ სწრაფ და ზუსტ გადაწყვეტას.

„პირველმა“ საათს დახედა და თქვა:

— დარჩა 30 წამი.

ამ მომენტში ყველა თანამშრომელი-ოპერატორი თავიანთ გონიერ თანაშემწეებთან გაირინდა ბრძანების მოლოდინში.

— 16?

— მზად ვარ.

— 20?

— მზად ვარ.

— 33?

— მზად ვარ.

შეუმჩნევლად გავიდა 30 წამი. გაიხმის საბოლოო განკარგულება და აღამიანის ნების მორჩილი ყველა საჭირო ხელსაწყო და აპარატი წინასწარი შედგენილი გეგმით იწყებს მუშაობას.

მელოდიური წკრიალი, რომელიც პატარა ორღანის ყღერას მოგვაგონებს, შაობის შესახებ. სპეციალისტის გამომეტყველება მოწმობს, რომ ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს: „მთვარე-4“-დან მოდის ის მონაცემები, რასაც ელოდნენ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია.

ჩემს პირდაპირ მომწვანოდ ციმციმებს ელექტრონულ-სხივური მილი. მის ცენტრში მოძრაობენ ვერტიკალური ხაზები, რომლებიც აჩვენებენ ტელემეტრიული ინფორმაციის ხასიათსა და მყარი კავშირის არსებობას. ეს მონაცემები რამდენიმე ხნის შემდეგ გრაფიკულად ჩაიწერება ლენტზე, რომლის შესახებ ახლა ვილაპარაკეთ.

სადგურის გაფრენისადმი კონტროლის სეანსი გაგრძელდა სულ ათ წუთს. მეტი დრო მოცემულ ეტაპზე არც არის საჭირო. ხელსაწყოები და აპარატები გამორთულია. მუშაკები თავისუფალი არიან.

— ახლა მზადა ვარ გიპასუხოთ კითხვებზე, — მითხრა მეცნიერმა. — სანამ ჩვენ ვისაუბრებთ, შეჯამდება ათი წუთის შედეგები და ჩვენ ზუსტად გავიგებთ, თუ როგორ გრძნობს თავს „მთვარე-4“.

— თუ შეიძლება მითხარით, რა მიზანი აქვს მოწყობილ სეანსს?

— დღეს ჩვენ გვქონდა ერთი მთავარი ამოცანა — შეგვემოწმებინა მოძრაობის პარამეტრები, დაგვეზუსტებინა „მთვარე-4“-ის მანძილი დედამიწიდან და მისი მოძრაობის სიჩქარე.

— როგორია შედეგები?

— შედეგები უახლოვდება ნავარაუდვს, რაც შეეხება დედამიწიდან დაშორების სიჩქარეს, იგი უდრიდა 3 კილომეტრს წამში.

— რატომ არის ასეთი უმნიშვნელო სიჩქარე? ხომ ცნობილია, რომ სადგურმა სტარტი აიღო დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტიდან, როცა იგი დედამიწას შორდება 11 კილომეტრით წამში?

ეს აიხსნება დედამიწის მიზიდულობის გავლენით. 2-3 კილომეტრი სიჩქარე წამში ასეთ შორ მანძილზე დედამიწიდან სავსებით შეესაბამება „მთვარე-4“-ის ფრენის მეცნიერულ მიზნებს.

სწორედ ამ წუთს მეცნიერს მოუტანეს ტექნიკური სამსახურის დამუშავებული მონაცემები. ტემპერატურა კონტეინერში, სადაც სადგურის მეცნიერული აპარატურაა, ნორმალურია, წნევა საჭირო დონეზეა. სადგურის ბატარეები და სხვა მაჩვენებლები აგრეთვე შეესაბამებიან გათვალისწინებულს...

...მხოლოდ ალიონზე დაიშალნენ, რათა ხანმოკლე შუასვენების შემდეგ დარუნებულიყვნენ აქ და კვლავ დაეკვანძნათ ადგილები ტექნიკის ახლოს. ყველაფერი უნდა მომზადდეს კავშირის ახალი სეანსისათვის.

რას გვიჩვენებს იგი? ზუსტად მიფრინავს თუ არა „მთვარე-4“ დასახული მიზნისაკენ, როგორ მუშაობს სადგურის აპარატურა, შეძლებს თუ არა შესასრულოს იმ მეცნიერული ამოცანების მოცულობა, რაც დასმულია სადგურის წინაშე? ეს კითხვები აღელვებს არა მარტო იმათ, ვინც იმყოფება შორეული ტექნიკური კავშირის ცენტრში, არამედ ყველას — ისინი კი ათასობით არიან, — ვინც მონაწილეობა მიიღო საპლანეტათშორისო სადგურის მომზადებასა და გაშვებაში: მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, მუშებს, ცოდნის სულ სხვადასხვა დარგის სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, ყველა საბჭოთა ადამიანს, მთელ კაცობრიობას.

ა. რომანოვი,
(საკდესის სპეც. კორ.).

ყირიმი, 3 აპრილი.

ტელევიზია

6 აპრილი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — მოსწავლეთათვის „ცნობისმოყვარე ბავშვთა კლუბი“, 18.25 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.45 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.15 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან — „ჩვენი ჯანმრთელობის უნივერსიტეტი“, 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — გადაცემა — „კინოოპერატორი ს. ურუსევსკი“, 20.25 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.45 — ახალი ამბები, 21.00 — მხატვრული ფილმი „რუმიანცევის საქმე“, 22.40 — საესტრადო კონცერტი.

კინო

6 აპრილი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, გაზაფხული, ნაკადული — ქარიშხალს მოომკი (I-II სერია), **ამირანი, ყაზბეგი,** (პირველი დარბაზი), **სპარტაკი, დიდუბე, პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ციკვები შაბათს, **ისანი** — კაპიტან ლოის სიზმარი, **თბილისი** — პეტერი, **კომკავ